ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ

შპს გარეჯის კერძო სკოლა ,,ლამარიას“ დირექტორი

3/42  01.05.2026 წ

/ლ.ქოქიაური/

# სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები

შპს გარეჯის კერძო სკოლა

,,ლამარია“

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სასკოლო სასწავლო გეგმა არის ძირითადი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. იგი გამომდინარეობს სკოლის მისიიდან, შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მორგებულია მოსწავლეთა და მშობელთა მოთხოვნებზე. ასევე, უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის ეფექტიანობის შეფასებას, შემდგომი გაუმჯობესების გზების განსაზღვრას. მისი მიზანია, სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი, მათი მუდმივi სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა.

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის შესახებ ინფორმაციას. დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხი.

## მუხლი 2. სკოლის ხარისხის უზრნველყოფის სისტემა

სკოლაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს უწყვეტ ცილკს, რომელიც გულისხმობს:

**დაგეგმე -** გულისხმობს სასწავლო პროცესის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით და თანმიმდევრობით, რომელი კრიტერიუმით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს.

**განახორციელე** - სწავლების ხარისხის შეფასებას განახორციელებენ (დირექტორის მოადგილეები) და ხარისხის მართვის მენეჯერი სკოლის თანამშრომლებთან და საგნობრივ კათედრებთან მჭიდრო კომუნიკაციის საფუძველზე;

**შეამოწმე** - განხორციელებულ აქტივობებს შეამოწმებენ დირექტორის

მოადგილეები  და  ხარისხის მართვის მენეჯერი და შედეგებს გააცნობს სკოლის ადმინისტრაციას. წამოჭრილი პრობლემები  განხილული  იქნება პედაგოგიურ საბჭოზეც.

**განავითარე** - დირექტორის მოადგილეები და ხარისხის მართვის მენეჯერის,პედაგოგიური საბჭოს რეკომენდაციის  საფუძველზე  სკოლის ადმინისტრაცია  სკოლის დირექტორთან შეთანხმებით განსაზღვრავს ნაკლოვანებების  მიზეზს  და მათი  აღმოფხვრის  მიზნით  შეიმუშავებს  სათანადო რეკომენდაციებს.

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებას  ხელმძღვანელობს  ხარისხის განვითარების ჯგუფი რომლის შემადგენლობაში შედის დირექტორი და ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი,  კათედრის ხელმძღვანელები, ისინი ზედამხედველობას უწევენ სკოლაში სასწავლო პროცესის  შეფასებისა  და გაუმჯობესების პროცესს.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, გამოიყენება სხავადსხვა სახელმძღვანელოები, ლიტერატურა და რეკომენდაციები.

## მუხლი 3. პროცედურები

ხარისხის  განვითარების  ჯგუფი  ყოველი  სემესტრის  დაწყებამდე  ადგენს კლვევის საჭიროებებს და შეიმუშავებს მიმიდნარესემესტრში განსახორციელებელი აქტივობების გეგმას.

ა) ჩატარდება მოსწავლეთა, პედაგოგთა და მშობელთა გამოკითხვა; ასევე, განხორციელდება დაკვირვება საგაკვეთილო პროცესზე.

 აღნიშნული  მონიტორინგი  ხელს  შეუწყობს  სასწავლო  პროცესის  მონაწილეთა საჭიროებების გამოვლენას, რაზე დაყრდნობითაც განისაზღვრება პრობლემების გადაჭრის გზები. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მოხდება სასკოლო- სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა, რაც  შესაძლებლობას  მოგვცემს, გავაუმჯობესოთ სასწავლო პროცესი.

## მუხლი 4.  შესაფასებელი სფეროები

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შეფასებას ექვემდებარება შემდეგი სფეროები:

ა) აღმზრდელ-პედაგოგების მუშაობის შეფასება;

ბ)კათედრების მუშაობის შეფასება;

გ) მასწავლებლების პორტფოლიოს წარმოების შეფასება;

დ) სასწავლო პროცესში გამოყენებული თვალსაჩინოებები;რესურსები,დამხმარე მასალები...

ე) რამდენად ეფექტურად გამოიყენებოდა განმავითარებელი შეფასებები;

ვ)მოსწავლეთა მიღწევები ცალკეული საგნების მიხედვით და მისი კორელაცია სხვადასხვა ფაქტორთან;

ზ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მომსახურების ხარისხი და მათი მიღწევები;ინდივიდულაური გეგმები.

თ) სასწავლო პროცესის გამართულად ფუნქციონირება;

ი) სასწავლო პროცესის ტექნიკური გამართულობა, შეესაბამებოდა თუ არა ტექნიკური აღჭვილობა სასწავლო პროცესს და რამდენად უზრნველყო მიზნის მიღწევა;

კ) მშობელთა ჩართულობა;

ლ) სკოლის უსაფრთხოება;

მ) შემაჯამებელი სამუშაოების შეფასება და ანალიზი;

ნ) პედაგოგების შეფასება;

ო) საგაკვეთილო პროცესის ხარისხი;

პ) სხვა მნიშვნელოვანი სფეროები, მისი აქტუალობიდან გამომდინარე, რაც უკავშირდება სწავლების ხარისხს.

## მუხლი 5. მონაცემების შეგროვების წყაროები

სასკოლო სასწავლო გეგმისგანხორციელების შეფასებახორციელდება შემდეგი

წყაროებიდან მოპოვებული ანალიზის საფუძველზე:

ა) სკოლის დოკუმენტაცია;

ბ) გეგმიური  გამოკითხვები მასწავლებლებთან,  მოსწავლეებთან და მშობლებთან;/კითხვარები/

გ) ჯგუფური დისკუსია;შეხვედრები.

დ) საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება;

ე) სხვა სახის წყაროები, საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე.

## მუხლი 6.  შემაჯამებელი ანგარიშის წარმოდგენა

ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად განხორციელებული სამუშაო ჯამდება, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, რაც წარედგინება სკოლის დირექტორს.

შემაჯამებელი ანგარიში ასევე წარედგინება სასკოლო საზოგადოებას. (პედსაბჭო,მშობლებთან შეხვედრები.)  სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებით მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების  შედეგად  შემუშავებული  რეკომენდაციების გათვალისწინებით, მუშავდება მომდევნო წლის სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

## მუხლი 7.თვითშეფასება

სკოლის რესურსების სრულყოფილად წარმოჩენის, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრის მიზნით, სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფი უზრუნველყოფს ყოველწლიურად თვითშეფასების განხორციელებას,  SWOT ანალიზს, ხარისხის უზრუნველყოფის  სისტემის მეშვეობით მოპოვებული  ინფორმაციის  და  საჭიროები შემთხვევაში, სკოლაში  სხვადასხვა პროცესზე პასუხისმგებელი პირების

ჩართულობით/მათგან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

სასკოლო-სასწავლო გეგმის მონიტორინგისთვის შედგა შესაბამისი ცხრილი, რომელიც შემუშავებულია ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ და წარმოადგენს ხარისხსის მართვის

ჯგუფის სამუშაო გეგმას.

| № | განსახორციელებელი სამუშაო | განხორციელების პერიოდი |
|---|---|---|
| 1. | მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის საკლასო ოთახების და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის, ინვენტარის და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი პირობების, კომპიუტერული ტექნიკის – კომპიუტერული პროგრამების და ინტერნეტის), მდგომარეობის შემოწმება და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა, შედეგების ანალიზი და ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება. | სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე (ორი კვირით ადრე) |
| 2. | სასწავლო ცხრილის შედგენა/შემოწმება. სასწავლო ცხრილის შესაბამისობის დადგენა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, შედეგების ანალიზი და ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება. | სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე (ორი კვირით ადრე) |
| 3. | სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სასწავლო პროგრამის არსებობის დადგენა, შედეგების ანალიზი და ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება. | სასწავლო წლის ორივე სემესტრის დაწყებამდე (ორი კვირით ადრე) |
| 4. | საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის მოწესრიგება | სასწავლო წლის ორივე |

| | | |
|---|---|---|
| | | სემესტრის დაწყებამდე (ორი კვირით ადრე) |
| 5. | ვებ-გვერდის მუშაობის და ინფორმაციის განახლების შემოწმება. | პერმანენტულად |
| 6. | ელექტრონული მუშაობის მონიტორინგი. | პერმანენტულად |
| 7. | მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების შემოწმება და გაცდენების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება. | პერმანენტულად |
| 8. | ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა. | საჭიროებისამებრ |
| 9. | სასწავლო პროგრამით განსაზღვრული შედეგების შემოწმება. | პირველი და მეორე სემესტრის ბოლოს |
| 10. | გამოკითხვის ფორმების შემუშავება. | სასწავლო წლის დაწყებამდე |
| 11. | შემაჯამებელი დავალებების ჩატარება და შედეგების ანალიზი. | სასწავლო წლის მიმდინარეობისას |
| 12. | მოსწავლეთა, მასწავლებლების, მშობლების კონფიდენციალური გამოკითხვების ორგანიზება. | სასწავლო წლის ბოლოს ან საჭიროებისამებრ |
| 13. | გამოკითხვების შედეგების ანალიზი | სასწავლო წლის ბოლოს ან საჭიროებისამებრ |
| 14. | გაკვეთილებზე დასწრება და საგაკვეთილო პროცესის ხარისხის შემოწმება. | სასწავლო წლის მიმდინარეობისას |

| | | |
|---|---|---|
| 15. | მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დასკვნის გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოსწორების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა | სასწავლო წლის მიმდინარეობისას |
| 16. | ნაკლოვანებების და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების და მიღწეული შედეგების მონიტორინგი. | სასწავლო წლის განმავლობაში |
| 17. | სასწავლო წლის შემაჯამებელი ანალიზი, წლიური ანგარიში, SWOT-ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. | სასწავლო წლის დასრულების შემდეგ |
| 18. | მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენა | სასწავლო წლის შემდეგ, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე |